



ბავშვთა

კლასი IV

ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი)

ბარბარა ტაკერის მიხედვით

მხატვარი – ნინო აფციაური

ეს მასალა შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით. მასალა მომზადებულია USAID საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) ფარგლებში შექმნილი რესურსების საფუძველზე.





ბალეტის

ერთ პატარა ქალაქში პატარა გოგონა ცხოვრობდა. გოგონას ნია ერქვა და ძალიან უყვარდა ბალერინები. მოსწონდა მათი ჰაეროვანი ცეკვა, ლამაზი კაბები, საზეიმო მუსიკა. თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ ტელევიზორის ეკრანზე ჰქონდა ნანახი. ნამდვილი ბალეტისთვის თვალიც არასოდეს მოეკრა.

იმ ქალაქს, სადაც გოგონა ცხოვრობდა, იშვიათად სტუმრობდა საბალეტო დასი. მათი სტუმრობის დროს მთელი ქალაქი უცებ გამოცოცხლდებოდა ხოლმე. თეატრის ძველ შენობაზე ფერად აფიშას აკრავდნენ. აფიშაზე ლამაზი ბალერინები ეხატა. ქუჩაში, მაღაზიაში, სკოლაში, სახლში... ყველგან ბალეტი ეკერათ პირზე. გაუთავებლად საუბრობდნენ მუსიკაზე, ცეკვასა და მოცეკვავეების კოსტიუმებზე. ნია ყურადღებით უსმენდა ამ საუბრებს. ოცნებობდა, საკუთარი თვალით ენახა ნამდვილი ბალერინების ცეკვა.

ცხრა წლის რომ გახდა, დედამ ნია ცნობილ ბალერინა ნინა ყიფიანის სანახავად წაიყვანა. გოგონა თვალს ვერ სწყვეტდა სცენას. ბალერინები ნამდვილი ფერებივით დაფარფატებდნენ. მათი ცეკვა ისეთი მშვენიერი იყო, რომ ნიას ალტაცებისგან ცრემლები წამოუვიდა.

გოგონას არაფერი უთქვამს, მაგრამ სწორედ მაშინ გადაწყვიტა, ბალერინა გამხდარიყო. რა თქმა უნდა, ლამაზი კაბების ჩაცმა და ცეკვაც უნდოდა. მაყურებლის ტაშის გაგონებაც სურდა. იქნებ ოდესმე ნინა ყიფიანის მსგავსად ცნობილი მოცეკვავე დამდგარიყო.

ერთი თვის შემდეგ დედამ ნია ადგილობრივი სტუდიის საბალეტო კლასში ჩაწერა ქალბატონ ოლგასთან. იგი მრავალი წლის განმავლობაში ასწავლიდა პატარებს ბალეტს. მეცადინეობა ყოველ შაბათს, დილაობით ტარდებოდა.



ასე დაიწყო ნიამ ბალეტზე სიარული. ისეთი აღტაცებული იყო, რომ სულ ხტუნვა-ხტუნვით შეირბინა სტუდიაში. მაგრამ, მისდა გასაოცრად, იქ არც ბრჭყვიალა კაბები დახვდა და ვერც მომხიბლავი ილეთები იხილა. დარბაზში მისნაირი პატარა გოგონები ვარჯიშობდნენ. რეიტუზები და მაისურები ეცვათ, ისიც სულ მთლად შავი და სადა. ხოლო მოძრაობები, რომლებსაც ასწავლიდა ქალბატონი ოლგა, ძალიან უხერხულად და უცნაურად მოეჩვენა. ძირითადად, ნაბიჯებს, თვლასა და გამართულად დგომას სწავლობდნენ. წონასწორობა რომ არ დაეკარგა, ცალი ხელით გრძელ, ჰორიზონტალურ ძელს უნდა დაყრდნობოდა.

ქალბატონი ოლგა ძალიან მკაცრი და მომთხოვნი იყო ყველა გოგონას მიმართ. ის ბევრჯერ ამეორებინებდა მათ თითოეულ მოძრაობას:

— პირველი პოზიცია! ისევ! ახლა მეორე პოზიცია! კარგია... თავიდან!..



ასე გრძელდებოდა დიდხანს, ძალიან დიდ-
ხანს, სანამ ნიას ძალიან არ დაეღლებოდა ფეხე-
ბი. გოგონა ვერ ხვდებოდა, ეს უხეში მოძრაობე-
ბი ლამაზ ცეკვად როგორ უნდა ქცეულიყო.

რამდენიმე კვირის შემდეგ ქალბატონმა ოლ-
გამ ახალი ილეთები ასწავლა ბავშვებს. მერე ორი
თუ სამი ილეთი გააერთიანა და ცეკვის ნაწილი
დადგა. ბოლოს ხელის ლამაზი მოძრაობებიც
დაამატა. ეს უკვე ნამდვილ ბალეტს ჰგავდა!

ნია აღტაცებული იყო. დაღლას საერთოდ ვერ
გრძნობდა. იმეორებდა და იმეორებდა ილეთებს.
თუმცა, როცა საკუთარ თავს შეხედა სტუდი-
ის სარკეში, მხოლოდ პატარა, ცოტა მოუქნელი
გოგონა დაინახა...

გავიდა რამდენიმე კვირა. ერთ მშვენიერ
დღეს ქალბატონმა ოლგამ გაკვეთილი განცხა-
დებით დაიწყო:

— ბავშვებო, მალე გაიმართება ჩვენი საბა-
ლეტო კლასის შემოქმედებითი საღამო. ყველა
გოგონამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. თქვენ

იცეკვებთ სკოლის თეატრის სცენაზე. სადამოს მშობლებიც დაესწრებიან.

ამის გაგონებაზე ნიას მაშინვე უამრავი ფიქრი დაუტრიალდა გონებაში. ის ხომ ისე კარგად ვერ ცეკვავს, სცენაზე რომ გამოვიდეს და ყველას თვალწინ იცეკვოს?..

გადიოდა დღეები. ნია დადიოდა ბაღეტის გაკვეთილებზე. სწავლობდა ილეთებს, რომლებიც უნდა გამოეყენებინა დადგმაში. წარმოდგენის დღე ძალიან სწრაფად ახლოვდებოდა. ამის გამო გოგონა ისე წუხდა, რომ ერთ სადამოს, ძილის წინ დედას ისიც კი უთხრა, აღარ მინდა ცეკვაზე სიარულიო.

დადგა შაბათი და ნია ჩვეულებრივ მივიდა ბაღეტის გაკვეთილზე. გოგონა სულ შემოქმედებით სადამოზე ფიქრობდა და ძალიან უხალისოდ ცეკვავდა.

გაკვეთილის ბოლოს ქალბატონმა ოლგამ ნიას უთხრა:

— ნია, ერთი წუთით გამომყევით, რაღაც მინდა გაჩვენო.

ნია გაჰყვა მასწავლებელს. პატარა ოთახში შევიდნენ. ქალბატონმა ოლგამ ტელევიზორი ჩართო. ეკრანზე გამოჩნდა გოგონა. დაახლოებით ნიას ტოლი იქნებოდა. სწორედ იმ ცეკვას ასრულებდა, მათ ქალბატონმა ოლგამ რომ ასწავლა. ამის ნახვაზე ნიას საკუთარი, ცოტა არ იყოს მოუქნელი მოძრაობები გაახსენდა.

— იცი, ვინ არის ეს გოგონა? — ჰკითხა მასწავლებელმა.

ნიამ შეხედა ეკრანს და უარის ნიშნად თავი გააქნია.

— ეს ნინაა, დიდი ბალერინა, რომელიც შენ ნახე ბალეტში.

გოგონა ისეთი გაოცებული იყო, აღარ იცოდა, რა ეთქვა.

ქალბატონმა ოლგამ კიდევ რამდენიმე ვიდეო უჩვენა მას. ერთ ფილმში ნინა თერთმეტი წლის იქნებოდა. მისი მოძრაობები უკვე ბევრად დახვეწილი იყო. თუმცა იგი ჯერ კიდევ არ ჰგავდა იმ მშვენიერ ბალერინას, მან რომ ნახა თეატრში.

ბოლო ფილმში ნინა ყიფიანი უკვე მაღალი, თხელი და ძალიან მოქნილი ბალერინა იყო. 16 წლის იქნებოდა. ლამაზი თეთრი კაბა ეცვა, ილი-მოდა და თავს უკრავდა მაყურებელს.

— ხომ ხედავ, ჩემო ძვირფასო, — თქვა ქალ-ბატონმა ოლგამ და თავის ხელებში მოიქცია გოგონას ხელები. — ეს ის არ არის, რაც დაბადებიდან მოგყვება. ამის მისაღწევად ძალიან ბევრი უნდა იშრომო. ყველა დიდი ბალერინა ისევე იწყებს, როგორც შენ. ისინი ჯერ ნაბიჯებსა და ილეთებს სწავლობენ. მე ვხედავ, რომ შენ ბალეტი ძალიან გიყვარს. სწორედ ასე იყო ნინაც. მას დიდი ხნის წინ ვასწავლიდი. თუ გააგრძელებ მუშაობას, შენც გახდები დიდი ბალერინა, შენც ყველას ეყვარები.

ნია ხმას არ იღებდა. გამალებით ფიქრობდა. უცებ გაიაზრა, რომ ყველაფერი მასზე იყო დამოკიდებული! თუკი ძალიან ბევრს იშრომებდა და, რაც მთავარია, ბალეტი ეყვარებოდა, თვითონაც შეძლებდა ნამდვილი ბალერინას მსგავსად ცეკვას!..

გოგონამ მასწავლებელს მადლობა გადაუხა-
და და გამოემშვიდობა.

იმ დღეს, როცა სახლში ბრუნდებოდა, ნია
ერთი წამით შეჩერდა, გახედა უკან ბაღეცის
სტუდიას და გაიღიმა. იგრძნო, რომ რაღაც ძა-
ლიან დიდის ნაწილი იყო.

ბოლოს, როგორც იქნა, დადგა ის დღეც, როცა
შემოქმედებითი საღამო უნდა გაემართათ. სანამ
კულისებში იცდიდა, ნიას თითქოს ჭიანჭველე-
ბი უვლიდა ტანში. ერთი სული ჰქონდა, ცეკვა
დაეწყო.

გაისმა მუსიკის ხმა და სცენაზე პატარა ბა-
ლერინების ჯგუფი გამოფარფატდა. ნია თავი-
დან ანერვიულდა, მაგრამ ბაღეცის სიყვარულ-
მა სძლია შიშს. ნელ-ნელა გათამამდა. სტუდიაში
საათობით ვარჯიშის შემდეგ კარგად ახსოვდა
ყველა ილეთი და თავდავინწყებით ცეკვავდა.
ბოლოს მუსიკა შეწყდა. გოგონა მაყურებლის-
კენ მიტრიალდა და ბოლო რევერანსი გააკეთა.
დარბაზში მაყურებელი ფეხზე იდგა. ტაშისცემა
არ წყდებოდა.

ნიამ სიამაყე და აღტაცება იგრძნო. მზად იყო,
გაეგრძელებინა ვარჯიში, რათა გამხდარიყო
დიდი ბალერინა.

